პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 19 (721). | შაბათი, 6 მარტი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა.

# ლენინ—სტალინის დროშით!

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა ულმეხი გულისტკივილით გამოეთხოვა ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, მშრომელთა ბრძენ ბელადს—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, იგი ცოცხლობს კომუნისტური პარტიისა და კომუნიზმის მშენებელი ყველა საბჭოთა ადამიანის გმირულ საქმეებში.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მიუძღვნა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებულ ბრძოლას, კომუნიზმის გამარჯვებას. იგი იყო ვ. ი. ლენინის ერთგული და ღირსეული მოწაფე, ლენინური იდეების მტკიცე მიმდევარი და დამცველი. ვ. ი. ლენინთან ერთად ი. ბ. სტალინი იბრძოდა ახალი ტიპის პარტიისათვის, შეუპოვრად და გაბედულად იცავდა მარქსისტული პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდა პარტიას ლენინიზმის ყველა მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში.

შექმნა რა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის საბრძოლო კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ კაცობრიობის გენიის ვ. ი. ლენინის მეთაურობით მიაღწია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. პირველად ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — მუშებისა და გლეხების სოციალისტური სახელმწიფო. ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი და ვ. ი. ლენინის სხვა მოწაფეები ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწეები იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მძიმე წლებში პარტია ი. ბ. სტალინს აგზავნიდა ყველაზე საშიშ და გადამწყვეტ უბნებზე. იგი ყველგან უნარიანად ასრულებდა პარტიის დავალებებს, დიდი ლენინის მითითებებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის კუბოსთან ი. ბ. სტალინმა პარტიისა და ხალხის სახელით დასდო დიადი ფიცი და თავისი სიცოცხლის ბოლომდე იგი ამ ფიცის ერთგული იყო. იგი ყველაფერში მიჰყვებოდა ლენინს, მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს ლენინურად ეცხოვრათ და ემუშავნათ, ებრძოლნათ და დაემარცხებინათ შინაური და გარეშე მტრები. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ი. ბ. სტალინის მეთაურობით გაანადგურა მოღალატეები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და წაიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის აგების გზით.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის პარტიის ბრძოლაში შეიქმნა ლენინელთა ხელმძღვანელი ბირთვი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რომელმაც დაიმსახურა ხალხისა და პარტიის საერთო აღიარება და უსაზღვრო ნდობა, თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად განუხრელად მიჰყავდა პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით. მან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება შემოქმედებითად განავითარა ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით გაამდიდრა.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალის ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ჩვენმა სამშობლომ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. სასიკვდილო საფრთხის დღეებში პარტიისა და ი. ბ. სტალინის მოწოდებით მთელი ჩვენი ხალხი დაირაზმა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ხალხთა შორის მეგობრობა — ეს არის ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის დიადი მონაპოვარი, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი. კომუნისტური პარტია თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად თვლის სსრ კავშირის — მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძვლის ერთიანობისა და მეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცებას.

დიდი ბელადის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინიზმის დროშის ქვეშ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ. პარტიამ და ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ახალი ძალით გამოავლინეს თავიანთი ერთგულება ლენინ—სტალინის საქმისადმი. პარტიამ და მთავრობამ უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების სწორი და შეუფერხებელი ხელმძღვანელობა, წარმატებით ახორციელებენ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებულ პოლიტიკას როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში.

ამჟამად ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში დიდი შრომითი აღმავლობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის მტკიცედ დაირაზმნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები. კომუნისტურ პარტიას ჩვენი ხალხი მიჰყავს ბედნიერი მომავლისაკენ — კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ!



იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

# ი. ბ. სტალინის ხსოვნის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად აღნიშნავენ ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების წლისთავს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, სართავ-საქსოვ კომბინატსა და სხვა საწარმოებში, საქართველოს დედაქალაქის მშენებლობებზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, აგიტპუნქტებში ეწყობა საუბრები ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ.

ასობით აგიტატორი აწყობს საუბრებს ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებსა და დაწესებულებებში.

დიდი ინტერესით ეცნობიან მშრომელები ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. ბევრი მნახველია ამ დღეებში ავლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში.

განუწყვეტლივ მოდის მნახველთა ნაკადი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. გუშინ აქ იყო 500-მდე კაცი. დიდი ინტერესით გაეცნენ ისინი აქ თავმოყრილ მრავალ დოკუმენტსა და მასალას, რომლებიც ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის გენიალური ლენინისა და მისი მოწაფისა და საქმის განმგრძობის დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

ასობით მშრომელი აწყობს ამ დღეებში ექსკურსიებს ბათუმის, ჭიათურის ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მუშაობასთან. მრავალი ექსკურსია მიდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად გორში.

თბილისის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში, საქართველოს დედაქალაქის მთელ რიგ კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიხსნა ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და მასალების გამოფენა. (საქინფორმი).

# ი. ბ. სტალინის ჭიათურის სახლ-მუზეუმში

ჭიათურაში ლ. ტოლსტოის ქუჩაზეა მოთავსებული ორსართულიანი ისტორიული სახლი. იგი ბევრი ღირსსახსოვარი და შესანიშნავი ამბის მოწმეა.

აქ პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ამ სახლში მან ჩამოაყალიბა ბოლშევიკური კომიტეტი, მოაწყო არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, საიდანაც ვრცელდებოდა მგზნებარე, თავისუფლებისაკენ მომწოდებელი პროკლამაციები.

1945 წელს მოხდა ამ სახლის რესტავრაცია. აქ მოწყობილია ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

აქ მოდიან ადამიანები ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიდან — ვლადივოსტოკიდან და ურალიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კიევიდან და მინსკიდან, დონბასიდან და მურმანსკიდან, ბაქოდან და ერევნიდან, ალმა-ატიდან და ტაშკენტიდან. ისინი გულდასმით ეცნობიან ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის ჭიათურის პერიოდს, გულშიჩამწვდომ სიტყვებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში.

განსაკუთრებით ბევრი ექსკურსანტი და დამთვალიერებელი მოდის ამ სახლში ახლა, მშობლიური სტალინის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით. მოდიან მაღაროელები და კოლმეურნეები, ინტელიგენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა — პიონერები და კომკავშირელები.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში აგიტატორმა თინა ნადირაძემ აქ მოიყვანა დიასახლისები, რომლებსაც მიმზიდველად ესაუბრნენ ი. ბ. სტალინის რევოლუციურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. გამოფენის დამთვალიერებელთა ერთ ჯგუფს მოჰყვა ძველი კომუნისტი ა. გოცაძე. მან მოიგონა ჭიათურელ მაღაროელთა რევოლუციური წარსული, დიდი სტალინის დამსახურება მუშათა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სახლ-მუზეუმში გამოფენილი მასალები მნახველებს ახალი საბრძოლო საქმეებისათვის რაზმავს.

# ლენინის საქმის დიდი გამგრძელებელი

დღეს ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ლენინის საქმის დიდი გამგრძელების, მშრომელთა ბრძენი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების წლისთავს. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინ—სტალინის საქმე უკვდავია. იგი ცოცხლობს კომუნისტური პარტიისა და კომუნიზმის მშენებელი ყველა საბჭოთა ადამიანის გმირულ საქმეებში, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის წარმატებებში, საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში.

ი. ბ. სტალინის მთელი ცხოვრება მიეძღვნა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებულ ბრძოლას, კომუნიზმის გამარჯვებას. მას წილად ხვდა პროლეტარული პროფესიული რევოლუციონერის მძიმე, მაგრამ სახელოვანი ხვედრი. ძველი სამყაროს ძალებთან ბრძოლაში მისი რკინისებური ნებისყოფა. შეუდრეკელი სიმამაცე და შეუპოვრობა ვერ გატეხეს უამრავმა სიძნელემ და გაჭირვებამ, მეფის ციხეებმა და გადასახლებებმა. ცარიზმსა და კაპიტალიზმთან სასტიკ ბრძოლაში მას აღაფრთოვანებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები, რომლებმაც მუშათა კლასს უჩვენეს ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის, ძალაუფლების მოპოვებისა და ახალი საზოგადოების შექმნის გზა.

ი. ბ. სტალინი მუდამ გრძნობდა თავის უწყვეტ სისხლხორცეულ კავშირს ხალხთან, მან ახმარდა იგი მთელ თავის მძლავრ ძალებს. მას ღრმად სწამდა ხალხი, მუშებისა და გლეხების უშრეტი რევოლუციური ენერგია და შემოქმედებითი ინიციატივა, და მთელ თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდა მასებს, მათში ხედავდა ისტორიის ნამდვილ შემოქმედს.

ი. ბ. სტალინი გამოდიოდა როგორც ვ. ი. ლენინის ერთგული და ღირსეული მოწაფე. ყველაფერში და ყველგან იგი იყო ნამდვილი ლენინელი, ლენინური იდეების მტკიცე მიმდევარი და დამცველი. ლენინში იგი ხედავდა ჩვენი პარტიის გენიალურ შემქმნელსა და ბელადს, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელს, ბრძოლაში უშიშარ მთის არწივს. ვ. ი. ლენინთან ერთად ი. ბ. სტალინი იბრძოდა ახალი ტიპის პარტიისათვის, შეუპოვრად და გადაჭრით იცავდა მარქსისტული პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდა პარტიას ლენინიზმის ყველა მტერთან შეურიგებელ ბრძოლაში.

ი. ბ. სტალინის დიდი ორგანიზატორული ნიჭი და თეორიული ძალა მთელი სისრულით გამოვლინდნენ რევოლუციის წლებში და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. 1917 წელს ვ. ი. ლენინთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ი. ბ. სტალინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა მასების მიმხრობისათვის, სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის.

შექმნა რა მუშათა კლასისა და ღარიბესი გლეხობის საბრძოლო კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ კაცობრიობის გენიის ვ. ი. ლენინის მეთაურობით მიაღწია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. პირველად ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — მუშებისა და გლეხების სოციალისტური სახელმწიფო. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი და ვ. ი. ლენინის სხვა მოწაფეები ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწეები იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. როგორც ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, ი. ბ. სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, პარტიისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხებს ამჭიდროებდა ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოების დროშის ქვეშ.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის მთელ საქმეს სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი. მისი უახლოესი თანაშემწე იყო ი. ბ. სტალინი. პარტია მას აგზავნიდა ფრონტის ყველაზე საშიშ და გადამწყვეტ უბნებზე. ცარიცინის დაცვა, კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის, პოლონეთის პანებისა და ვრანგელის განადგურება — ყველა ეს ოპერაცია დაკავშირებულია სტალინის სახელთან. იგი ყველგან უნარიანად და გაბედულად ასრულებდა პარტიის დავალებებს, დიდი ლენინის მითითებებს.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში ი. ბ. სტალინი გამოდის როგორც ურყევი ლენინელი პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობაში, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის კუბოსთან ი. ბ. სტალინმა პარტიისა და ხალხის სახელით დასდო დიადი ფიცი, რომ იქნებოდნენ მისი ანდერძის ერთგულნი — დაიცავდნენ პარტიის ერთიანობას, დაიცავდნენ და განამტკიცებდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, მუშებისა და გლეხების კავშირს, ხალხთა მეგობრობას, მაღლა დაიჭერდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას. ი. ბ. სტალინი თავისი სიცოცხლის ბოლომდე ამ ანდერძის ერთგული იყო. იგი ყველაფერში მიჰყვებოდა ლენინს, მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს ლენინურად ეცხოვრათ და ემუშავათ, ებრძოლათ და დაემარცხებინათ მტრები — შინაური და გარეშე მტრები. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ი. ბ. სტალინის მეთაურობით გაანადგურა მოღალატეები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და წაიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის აშენების გზით.

მრავალრიცხოვან მტერთან მძაფრ ბრძოლაში ი. ბ. სტალინმა დაიცვა და გამოაწრთო პარტიის ლენინური ერთიანობა, მისი რიგების მონოლითობა. პარტიული რიგების ერთიანობა, პარტიის დარაზმულობა თავისი ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ მუდამ იყო, არის და იქნება პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის გადამწყვეტი პირობა. კომუნისტური პარტია თავის დიდ ისტორიულ მოწოდებასა და დანიშნულებას წარმატებით ასრულებს იმიტომ, რომ არის თანამოაზრეთა მონოლითური კოლექტივი, რომელიც შედუღაბებულია ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, დისციპლინის ერთიანობით.

სოციალიზმის აგებისათვის პარტიის ბრძოლაში შეიქმნა ლენინელთა ხელმძღვანელი ბირთვი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რომელმაც დაიმსახურა ხალხისა და პარტიის საერთო აღიარება და უსაზღვრო ნდობა, თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად განუხრელად მიჰყავდა პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით. მან ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება და მთელ რიგ საკითხებში რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით გაამდიდრა.

გენიოსი ლენინის უკვდავ ქმნილებებში მოცემულია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის მეცნიერული დასაბუთება, მითითებულია კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის გზები. გამომდინარე ლენინური საპროგრამო დებულებებიდან, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს ი. ბ. სტალინის ნაშრომებსა და პარტიის გადაწყვეტილებებში, პარტიამ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კონკრეტული პროგრამა. ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს ეკონომიური დამოუკიდებლობა, განამტკიცა მისი თავდაცვისუნარიანობა, შექმნა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მატერიალური ბაზა.

ი. ბ. სტალინმა შემდგომ განავითარა და დააკონკრეტა ლენინური კოოპერაციული გეგმა — სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხთა მასების ჩაბმის დიადი გეგმა. ლენინური მითითებების საფუძველზე პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა და განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩვენმა სამშობლომ გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ — ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალისა და ცხოველუნარიანობის ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ჩვენმა სამშობლომ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. სასიკვდილო საფრთხის დღეებში პარტიისა და ი ბ. სტალინის მოწოდებით მთელი ჩვენი ხალხი დაირაზმა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამამულო ომში მიღწეულმა ისტორიულმა გამარჯვებამ ცხადყო ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიადი სასიცოცხლო ძალა და უძლეველობა. ეს გამარჯვება პარტიის პოლიტიკის ზეიმი იყო.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შედეგად იმპერიალისტურ სისტემას ჩამოცილდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები. ჩამოყალიბდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი სსრ კავშირის მეთაურობით. ამ ბანაკში ძმური ერთიანობით შეკავშირებულნი საბჭოთა ხალხთან ერთად წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხები. ამ ბანაკში არიან გმირი კორეელი ხალხი და ვიეტნამის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწიეს იმას, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გადააქციეს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის უძლეველ ბურჯად. პარტიის საქმიანობა მიმართულია მუშებისა და გლეხების კავშირის შემდგომი განმტკიცებისაკენ, ყველა ხალხის მეგობრობის განმტკიცებისა და სოციალისტური დემოკრატიზმის გაშლისაკენ. მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირში ლენინი და სტალინი ხედავდნენ პროლეტარული დიქტატურის უმაღლეს პრინციპს. ამ კავშირის განმტკიცება არის კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარი.

ახორციელებდა რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, ი. ბ. სტალინი დაუღალავად იბრძოდა ძმური საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის შექმნისათვის. მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ი. ბ. სტალინმა ლენინიზმის მოძღვრება გაამდიდრა ეროვნულ საკითხში.

ხალხთა შორის მეგობრობა — ეს არის პარტიის დიადი მონაპოვარი, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი. კომუნისტური პარტია თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად თვლის სსრ კავშირის — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძვლის ერთიანობისა და მეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცებას.

შემოქმედებითად ავითარებდა რა ლენინურ მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ი. ბ. სტალინმა დაასაბუთა დებულება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აგების შესაძლებლობის შესახებ იმ შემთხვევაშიც, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამასთან დაკავშირებით მან აჩვენა, რომ სახელმწიფოს შენარჩუნება აუცილებელია კომუნიზმის დროსაც, თუ კვლავ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა. ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზების შესახებ, ი. ბ. სტალინმა განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა ისტორიული სიტყვით. ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა პარტიისა და ხალხის წინაშე. თავის სიტყვაში ი. ბ. სტალინმა ხაზი გაუსვა სსრ კავშირის მშრომელთა და ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესების ერთიანობას, ნათელყო, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები განუყრელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ი. ბ. სტალინი რჩებოდა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მშვიდობის მომხრის დარაზმვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისათვის ხელმძღვანელობის საბრძოლო პოსტზე.

თავისი ბელადის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინიზმის დროშის ქვეშ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ. გასული წლის მანძილზე პარტიამ და ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ახალი ძალით გამოავლინეს თავიანთი ერთგულება ლენინ — სტალინის საქმისადმი, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. პარტიამ და მთავრობამ უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების სწორი და შეუფერხებელი ხელმძღვანელობა, წარმატებით ახორციელებენ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებულ პოლიტიკას როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად წარმართავენ მშრომელთა შემოქმედებით აქტივობას კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. საბჭოთა ადამიანები შეუპოვრად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მეცხოველეობის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების სწრაფი განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას, როგორც მარცვლეულის წარმოების გაზრდის უმნიშვნელოვანეს რეზერვს.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები გამსჭვალულია ხალხის კეთილდღეობაზე, მისი განუწყვეტლივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე დიადი ზრუნვით.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით ებმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანების განხორციელებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამჟამად ჩვენს სამშობლოში ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებით, ყველა ამომრჩევლისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვით. საარჩევნო კამპანიაში პარტია გამოდის ყველა უპარტიოსთან ბლოკში, რაც გამოხატავს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ა. კრასოვი.



კომუნიზმის ხუროთმოძღვრები.
მხატვარ ე. კიბრიკის ნახატის რეპროდუქცია.



...რათზე: № 14 საარჩევნო უბანი. აგიტატორები პირველთან-...ანი გ. იმნაძე, სპორტის ოსტატები გ. ყირმელაშვილი და ...ჩოვე აფორმებენ კედლის გაზეთის მორიგ ნომერს.

ფოტო ს. ოჰანოვისა

# ჩემპიონები სამბოში

...ველოს პირად-გუნდურ პირ-...ზე სამბოში, რომელიც ჩა-...-4 მარტს თბილისში ლენინის ...ბის სპორტულ დარბაზში, ...უობდნენ რესპუბლიკის უძ-... მოჭიდავეები. გუნდურ ...ში გამარჯვებისათვის ასპა-...ენ აჭარის, აფხაზეთის, ქუ-...გორის, კასპისა და თბილი-... კოლექტივი. შეჯიბრებისა-...ტერესი გააძლიერა იმანაც, ...მპიონის სახელისათვის იბრ-... ცნობილი მოჭიდავეები, ... ოსტატები ნ. ნინიაშვილი, ...ჯიკაშვილი, ლ. კაციაშვილი, ... კავშირის 1953 წლის ჩემ-... თავისუფალ ჭიდაობაში ნ. ...ლი, ჩვენი ქვეყნის არაერთ-...მპიონი თავისუფალ ჭიდაობა-...მბოში ე. ქარქუსაშვილი და

...ურებელი ტაშით შეხვდა ხა-... ქარქუსაშვილისა და შ. ჩიკ-...რივე თბილისის გუნდიდან) ...ს. რამდენიმე წლის წინათ ...ლკურ და საკავშირო პირვე-... ქარქუსაშვილი გამოდიოდა ... ქვესაშუალო წონის წარმო-...ლი. ჭიდაობის მრავალრიც-...ოყვარულთ კარგად ახსოვთ ...მიანი და გააზრებული ბრძო-...ჯერად ქარქუსაშვილი გამო-...მძიმე წონაში.

... ქარქუსაშვილმა მისთვის ...მაღალ ტემპში დაიწყო. რამ-... ტექნიკურად გამართული ...ჩატარებით მან გამარჯვები-...აპირო ქულები დააგროვა, ...არქუსაშვილის ჭიდაობისათ-...ახასიათებელია ბრძოლა ამ-...არჯვებამდე. მან კომბინაცია კომბინაციაზე ჩაატარა და შეხვედრა (3:1) მოიგო.

საშუალო წონის მოჭიდავეები გობეჯიშვილი და უნდილაშვილი ფიზიკურად თითქმის ერთნაირი ძალისანი არიან, მაგრამ მათ ახასიათებთ ჭიდაობის სხვადასხვანაირი სტილი. უნდილაშვილი, რომელიც უმეტესად ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობს, ძლიერია და სახიფათოა დგომში. ეს კარგად გაითვალისწინა გობეჯიშვილმა, რომელიც ცდილობდა ბრძოლა გადაეტანა ჩოქბჯენში. გაიმარჯვა გობეჯიშვილმა.

ძლიერად ჩაატარა ჩემპიონატი ლაფაურმაც. მან აგრესიულ სტილში მოიგო შეხვედრა ო. შინჯიკაშვილთან.

სამი დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირად ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება უმჩატეს წონაში მოიპოვა თბილისის წარმომადგენელმა ლ. კაციაშვილმა.

მჩატე წონაში გამარჯვება წილად ხვდა გ. სიმონიშვილს (თბილისი), ქვემსუბუქ წონაში პირველი ადგილისათვის იბრძოდა ზ. დენტოშვილი (თბილისი), ა. მახარაძე (ქუთაისი) და ვ. ჯარიაშვილი (თბილისი). უძლიერესი აღმოჩნდა დენტოშვილი. მსუბუქ წონაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის ოსტატმა ნ. მუზაშვილმა, ქვესაშუალოში — ბ. მაზიაშვილმა, საშუალოში ს. ბოლოთაშვილმა, ქვემძიმეში ე. ქარქუსაშვილმა, ხოლო მძიმეში — ვ. ლაფაურმა (ყველა თბილისიდან).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის მეორე გუნდის, მესამეზე — ქუთაისის სპორტსმენები.

შ. გუგეშაშვილი

# ისინი სამშობლომ გამოგზავნა...

...1953 წლის ნოემბერია. კიროვის სახელობის პარკში თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პირველობა მიმდინარეობს კალათბურთში. მოედანზე გამოდიან სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები...

მოთამაშეთა გვარების დასახელების შემდეგ დიქტორი აცხადებს: „თამაშს სჯიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვახტანგ ჯაფარიძე და ალბანელი იორლანდ სტავრი..." მაყურებელი ტაშით ეგებება ალბანელ მსაჯს.

გასული წლის აპრილში საქართველოს ეწვივნენ ალბანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა სპეციალისტები, ჰიდრომექანიკოსები იორლანდ სტავრი, იორგაჩ კავზეზი, ჩერჩან ზოგუ, ეტემ სულქუჩი და ჩუფე ჩელა. ეს რჩეული ჭაბუკები სამშობლომ ჩვენს ქვეყანაში ცოდნის გასაღრმავებლად გამოგზავნა.

ხუთი ალბანელი ახალგაზრდა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ჰიდროელსადგურს—ზაჰესს ეწვია. ჰესის კოლექტივი სიხარულით შეეგება სტუმრებს. გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით და მზრუნველობით ალბანელებმა ბევრი ახალი და საინტერესო რამ გაიგეს და შეისწავლეს.

სიმპათიური სახის მქონე ტირანელი ჭაბუკი იორლანდ სტავრი სპორტითაა გატაცებული. მას განსაკუთრებით კალათბურთი უყვარს. ალბანეთში კი სპორტის ეს სახეობა ნაკლებად პოპულარულია. იმ ქარხანაში, სადაც იორლანდი მუშაობს, კალათბურთის გუნდი არ არსებობდა. სპორტის მოყვარულმა ახალგაზრდამ შეკრიბა რამდენიმე თანატოლი და კალათბურთის გუნდი ჩამოაყალიბა. შემდეგ მან ალბანეთში გაიარა მსაჯებისა და მწვრთნელების სპეციალური კურსები და საბჭოთა კავშირში გამგზავრებამდე პირველი კატეგორიის მსაჯის წოდებაც მიიღო.

ალბანელი სტუმრების ჩამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში. პირველობის დაწყებამდე იორლანდი თავისუფალ საათებში ხშირი სტუმარი იყო კიროვის სახელობის პარკისა, სადაც საწვრთნელი ვარჯიშები მიმდინარეობდა. ახალგაზრდა ალბანელმა მოისურვა სპეციალობის გარდა სპორტშიც აემაღლებინა ცოდნა.

სტავრიმ თხოვნით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის მთავარ სამმართველოს, რათა მისთვისაც მიენდოთ მსაჯის სასტვენი. სამმართველო სიამოვნებით დათანხმდა იორლანდის თხოვნას. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პირველობაზე მან თავისი ზუსტი და სამართლიანი მსაჯობით მაყურებელთა და მოთამაშეთა სიმპათია დაიმსახურა.

— ჩვენთან, ალბანეთში, თითქმის ყველა იცნობს ქორქიას, ჯორჯიკიას, ბუტაუტასს, ლისოვს და სხვა გამოჩენილ საბჭოთა კალათბურთელებს, — ამბობს იორლანდ სტავრი. — საბჭოთა ქვეყანაში ამისრულდა ნატვრა — ვნახე მათი ვირტუოზული თამაში და პირადადაც გავეცანი მათ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ალბანელმა ახალგაზრდებმა მრავალი საინტერესო ექსკურსია მოაწყეს: ეწვივნენ ბელადის სამშობლო გორს, ინახულეს მოძმე სომხეთის დედაქალაქი ერევანი, დაათვალიერეს თბილისის მუზეუმები და ისტორიული ადგილები.

ახლახან ალბანელი სტუმრები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ზამთრის კურორტ ბაკურიანში იყვნენ და თორმეტი დღის განმავლობაში ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდებთან ერთად ერთობოდნენ, ისვენებდნენ და იკაჟებდნენ სხეულს.

— ათი თვის მანძილზე ჩვენ დიდად შევიყვარეთ საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი, — აღტაცებული ამბობენ ალბანელები. — განცვიფრებული და გაკვირვებული ვართ სპორტის ასეთი პოპულარობით, სტუმართმოყვარეობით, სითბოთი, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენს თვითეული საბჭოთა მოქალაქე. დიად საბჭოთა ქვეყანაში მრავალი მეგობარი შევიძინეთ და ეს ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა.

— ამას წინათ, — ჰყვება იორლანდ სტავრი, — აკაკი ხორავას მიწვევით დავესწარით რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს „ოტელოს". მოგვაჯადოვა და დაგვატყვევა ხორავას ოტელომ. ვამაყობთ და გვიხარია, რომ ამ შესანიშნავმა მსახიობმა შექმნა ჩვენი ნაციონალური გმირის გიორგი სკანდერბეგის სახე. აკაკი ხორავას მადლობას ვუხდით მთელი ალბანელი ახალგაზრდობის სახელით.

— ბევრი რამ გვაქვს სათქმელი და მოსაყოლი, — განაგრძო ალბანელმა ჭაბუკმა, — ცოდნითა და შთაბეჭდილებებით აღსავსენი მალე დავბრუნდებით ჩვენს სამშობლოში, ალბათ მთელი წელი არ გვეყოფა იმისათვის, რომ ყველაფერი ვუამბოთ ჩვენ ალბანელ მეგობრებს, მშობლებს, ნათესავებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი სამშობლოც ჰგავდეს თქვენს დიად ქვეყანას.

გ. გომართელი





რიგის სპორტის მოყვარულთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ფრენბურთელთა საკავშირო შეჯიბრებამ. დარბაზი, სადაც შეხვედრები ტარდებოდა მუდამ სავსე იყო მაყურებლებით.

* * *

**სურათებზე:** საქართველოსა და ლიტვის ქალთა გუნდების შეხვედრისა (ზევით) და მოსკოვისა და ბაქოს ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტები.

ფოტო ვ. პრიკულისისა

# მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში

2 მარტს სტოკჰოლმში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ნორვეგიის გუნდები. გაიმარჯვეს ფინელებმა — 2:0.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრაში ანგარიში გახსნეს ჩეხებმა, მალე ბობროვმა გაათანაბრა იგი — 1:1. მეორე პერიოდში ჩეხებმა კვლავ გაიტანეს გოლი, რასაც შუვალოვმა და ბიჩკოვმა ორი შაიბით უპასუხეს.

მესამე პერიოდში ბობროვმა ორჯერ აიძულა მოწინააღმდეგე გუნდის მეკარე შაიბა გამოეტანა კარიდან და სსრ კავშირის ჰოკეისტებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 5:2.

# მაღალი კლასის ფეხბურთისათვის

...თვის საიდუმლოებას არ ...ვენს ის, რომ ფეხბურთის ...ების დონე აშკარად არ შე-... ამ ამოცანებს, რომელსაც ...და მთავრობა სახავენ სპორ-...სახეობის წინაშე 1948 წლის ...ებით. მას შემდეგ დიდმა ...წელო. იგი სრულიად საკმა-... იმისათვის, რომ მომხდა-...ეთრი გარდატეხა ფეხბურ-...ის ამაღლების საქმეში. ...საქმე ნელა მიდის წინ. ... ჩვენ კვლავ ვხედავთ ...კლასს, თამაშის ღარიბ ...და მაღალი კლასის ფეხ-...თა მხრივ განვიცდით „შიმ-...ჩვენი რესპუბლიკის ფეხ-...თა უმრავლესობა, რო-...ზრდილები, ისე ჭაბუკები, ...ნ პრიმიტიულად, დაბალ ... დონეზე. მწვრთნელთა ...ობის კვალიფიკაციის დო-...მაკმაყოფილებელია.

...მო მდგომარეობაა ფეხბურ-...დნებისა და ფეხბურთელთა ... რაოდენობის მხრივ. საკმა-...ქვას, რომ თბილისში ლიკ-...ლია ნორმალური ზომის ...თნისათვის გამოსადეგი 4

...თელთა უზრუნველყოფა ...ა და მინდვრების თუნდაც ...რი რაოდენობით ერთ-ერთი ...სერიოზული საკითხია. ცხა-...არ იქნა მოედნების საჭირო ...ა, მკვეთრად შემცირდება ... რიცხვიც, ხოლო არსებულ ... არ ექნებათ ნორმალური ...ობის პირობები.

პრესაში არაერთხელ დაიწერა საფეხბურთო მოედნების ნაკლებობის შესახებ, მაგრამ წერილებს საკმაოდ მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა და, რაც მთავარია, მას შემდეგ ეს საქმე ოდნავადაც არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. ამ პირობებში ლაპარაკი მაღალი კლასისა და ტექნიკის მქონე თანამედროვე ფეხბურთის შექმნის შესახებ უსაგნო და უსარგებლოა. საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, აღმოფხვრილ იქნას ზემოაღნიშნული ნაკლოვანება. ფეხბურთელებს უნდა მივცეთ საშუალება წვრთნა ჩაატარონ ნორმალურ მოედანზე კვირაში 3-ჯერ 1,5-2 საათის ხანგრძლივობით.

მაგრამ თანამედროვე ფეხბურთის განვითარების ნელი ტემპის ახსნა მხოლოდ მოედნების ნაკლებობით არ შეიძლება. ხშირად ორგანიზაციებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს თავისი უმოქმედობა სურთ გადააბრალონ მოედნების ნაკლებობას, არსებული ჩამორჩენა ახსნან მხოლოდ ამ მიზეზით.

საქმე არა მარტო და არაიმდენად მოედნების ნაკლებობაშია, რამდენადაც იმაში, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები არ იყენებენ იმ პირობებსა და საშუალებებსაც, რაც მათ გააჩნიათ.

ჩვენს ფეხბურთელებს მცირე შრომის დახარჯვით სურთ მიაღწიონ თვალსაჩინო შედეგებსა და წარმატებებს, ხოლო მწვრთნელების უმრავლესობა თავს არ იწუხებს შემოქმედებითი ძიებით, არ იმდიდრებს თეორიულ ცოდნას, წლების მანძილზე მიდის უკვე ნატკეპნი, მანკიერი გზით და გვერდს უვლის ყველაფერს ახალს.

კარგადაა ცნობილი, რომ ფეხბურთი შედგება მძლეოსნობის, აკრობატიკისა და ტანვარჯიშის ელემენტებისაგან. გამბედაობა და სიმტკიცე, მოქნილობა, კუნთების სიძლიერე, გამძლეობა, სწრაფი რბენა რეაქცია, ორიენტირება, რბენა მოდუნებული კუნთებით, რაც ძალების ეკონომიურად ხარჯვის საშუალებას იძლევა, და მრავალი სხვა თვისება შეიძლება შეძენილ იქნას სპორტის ზემოაღნიშნულ სახეობებში სისტემატური და სრულფასოვანი მეცადინეობით.

არიან ისეთი ფეხბურთელები და მწვრთნელები, რომლებიც სხვა აზრს ადგანან და ირწმუნებიან, რომ ყველა თვისებას ფეხბურთელი საკმარისად იძენს მხოლოდ ფეხბურთში წვრთნისას. რა თქმა უნდა, ეს არაა სწორი. მათი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბ. პაიჭაძეს, ა. ღოღობერიძესა და ზოგიერთ სხვა გამოჩენილ ფეხბურთელს არასოდეს უმეცადინიათ სპორტის სხვა სახეობაში და მაინც გახდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელები, არ შეიძლება იყოს რამდენადმე მაინც დამაჯერებელი. ჯერ ერთი, ორივე ეს ფეხბურთელი თავიდანვე მისდევდა სპორტის რამდენიმე სახეობას, მეორეც — ბ. პაიჭაძისა და ა. ღოღობერიძის იშვიათი ბუნებრივი მონაცემები გამონაკლისს წარმოადგენს.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და ფეხბურთელთა მომზადების მეთოდიკის საკითხზე გადასვლისას საჭიროა მოკლედ ითქვას იმ მანკზე, რაც გააჩნია ბევრ ფეხბურთელსა და მწვრთნელს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ფეხბურთელი ბურთით მუშაობს ისე, როგორც ეს მისთვის უფრო ადვილი და მოსახერხებელია, ე. ი. არჩევს დარტყმის, ბურთის მიღების, გაჩერებისა და გადაცემის უბრალო ან შემსუბუქებულ ხერხს და თითქმის სავსებით გვერდს უვლის რთულ ვარიანტებს. იგი ივიწყებს, რომ შემსუბუქებული ან გაუბრალოებული ვარჯიშისადმი სწრაფვა თამაშის დროს იწვევს უამრავ ტექნიკურ და ტაქტიკურ შეცდომას, ტემპის დაკარგვას, გადაღლას და ა. შ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თამაშის ტექნიკის იმ დონით დაკმაყოფილება, რაც ამჟამად გააჩნია ფეხბურთელთა დიდ რაოდენობას, მათ შორის ოსტატთა საგრძნობ ნაწილსაც. ამ მდგომარეობასთან შერიგება კიდევ უფრო შეაფერხებს ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

თამაშის სრულყოფილი ტექნიკა ითვალისწინებს ბურთის ისეთ დაუფლებას, რომელიც საშუალებას მისცემს ფეხბურთელს მნიშვნელოვნად გაათავისუფლოს თავისი აზრი და მხედველობა ყველაფერ იმისაგან, რაც დაკავშირებულია ბურთის მიღება, დამუშავება და გადაცემასთან. ყოველ ტექნიკურ ილეთს იგი უნდა ასრულებდეს ძალდაუტანებლად, ადვილად, თითქმის ავტომატურად, ხოლო აზრი და მხედველობა ძირითადად მიმართული უნდა იქნეს ტაქტიკური ხასიათის ამოცანებისაკენ.

ასეთი მაღალი ტექნიკის ათვისება და სრულყოფა უნდა დაიწყოს ბავშვობის ასაკიდან (10-12 წელი), ხოლო ჭაბუკობას (15-17 წელი) მიღწეული ფეხბურთელი უკვე ოსტატურად უნდა ფლობდეს ბურთს და განაგრძობდეს შემდგომ დახელოვნებას.

ტყავის ბურთის ისეთმა ოსტატებმა, როგორც არიან ბ. პაიჭაძე, ა. ღოღობერიძე, ს. შუდრა, გ. ანთაძე და სხვები, უნდა გამონახონ დრო, რათა ნორჩ ფეხბურთელებს სისტემატურად გადასცენ თავისი ოსტატობა და გამოცდილება.

თანამედროვე მაღალი კლასის ფეხბურთისათვის ბრძოლა უნდა გავხადოთ არა მარტო ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და მწვრთნელების ამოცანად, არამედ სპორტის ამ პოპულარული სახეობით გატაცებული ახალგაზრდობის მთელი მასის ამოცანადაც. შთავუნერგოთ მას ამ ამოცანის შესრულების შესაძლებლობისა და მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის რწმენა.

გ. ფაჩულია,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# თამაში დაფაზე დაუხედავად

## პასუხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ დ. ლოლობერიძის შეკითხვაზე

ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი ჭადრაკის თამაში დაფაზე დაუხედავად. ასეთი თამაშის დროს მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთი, რომელიც უფრო ძლიერია, ზის დაფისაგან მოშორებით და უკარნახებს სვლებს საჭადრაკო ნოტაციით.

დაფაზე დაუხედავად თამაშს მოკლე ისტორია აქვს. XIX საუკუნის დამდეგს პარიზში კაფე „დერეჟანში", რომელიც თავის დროზე მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკეების თავშესაკრები ადგილი იყო, გამოჩენილმა ფრანგმა ოსტატმა ფილიდორმა ერთდროულად სამ დაფაზე დაუხედავად ითამაშა და მოუგო ძლიერ მეტოქეებს. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია. საფრანგეთის საზოგადოებრიობამ ეს სასწაულად მიიჩნია, ხოლო თვითონ ფილიდორი — ზეკაცად.

1858 წელს კვლავ პარიზში ამერიკელი პ. მორფი დაფაზე დაუხედავად ერთდროულად რვა ფრანგ ოსტატს ეთამაშა. ამ უჩვეულო სეანსის დამსწრეთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მორფმა ხუთი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთ პარტიაში დამარცხდა.

შემდეგ დიდი სახელი მოიხვეჭა გროსმაისტერმა ჰარი პილსბერიმ, რომელიც ერთდროულად ეთამაშებოდა 22 მოჭადრაკესა და 16 მოშაშეს. პილსბერის წარმატებები ამგვარ სეანსებში მართლაც არაჩვეულებრივი იყო. მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იწვევდნენ ასეთი სეანსების ჩასატარებლად.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ყურადღება მიიქცია ჩეხმა გროსმაისტერმა რ. რეტიმ. დაფაზე დაუხედავი სეანსების ჩატარება მაღალ სიმაღლეზე აიყვანა გენიალურმა რუსმა მოჭადრაკემ, მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ალიოხინმა. მან დაამყარა თავისებური რეკორდი: ეთამაშა 28 პირველთანრიგოსანს. აქედან მოიგო 22, სამი წააგო და სამი პარტია ყაიმით დაამთავრა. სეანსი 15 საათზე მეტხანს გრძელდებოდა.

საბჭოთა კავშირში ასეთი სეანსების ჩატარება არ არის მიღებული. არსებობს საერთო აზრი, რომ ასეთი სეანსი ცუდად მოქმედებს ადამიანის გონებაზე. ამ თამაშში აქტიურად მონაწილეობს მოჭადრაკის წარმოსახვითი უნარი და მხედველობითი მეხსიერება. განსაკუთრებული სიმძიმე აწვება მეხსიერებას, რომლის ხანგრძლივი დაძაბულობა, აგრეთვე ყურადღების შეუნელებელი აქტივობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაფაზე დაუხედავად თამაშში, იწვევს მათ ავადმყოფურ დაღლას.

გენიალური რუსი მოჭადრაკე მ. ჩიგორინი, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ჭადრაკის თეორეტიკოსი ა. პეტროვი აღნიშნავდა, რომ ასეთ სეანსებს დიდი ზიანი მოაქვთ მოჭადრაკისათვის. მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელ რუსეთში მას ზოგჯერ უხდებოდა მიემართა ამ ეფექტური ხერხისათვის, რათა ჭადრაკით დაეინტერესებინა მდიდარი მეცენატები, რომლებსაც შეეძლოთ მატერიალურად დახმარებოდნენ რუსეთში საჭადრაკო სპორტის განვითარების საქმეს.

სულ სხვაა ასეთი წესით ერთი პარტიის თამაში. იგი ბევრ დიდ მოჭადრაკეს სასარგებლოდ მიაჩნია. მართლაც, დაფასთან ფიქრის დროს მოჭადრაკე ფიგურების გადაადგილების გარეშე წარმოსახვაში თვლის ვარიანტებს, აფასებს მომდევნო სვლების შედეგად შექმნილი პოზიციის ავკარგიანობას, ეძებს კომბინაციურ იდეებს... ყველაფერი ეს მოგვაგონებს დაფაზე დაუხედავად თამაშს. ამიტომ დაფაზე დაუხედავად ერთი პარტიის თამაში წარმოადგენს აბსტრაქტული აზროვნების უნარის, ყურადღების, „საჭადრაკო მხედველობისა" და მეხსიერების ვარჯიშის ერთ-ერთ საყურადღებო საშუალებას.

მაგრამ ჩვენში ერთ დაფაზე თამაშიც არ არის კულტივირებული, ვინაიდან ასე თუ ისე, იგი მაინც იწვევს მეხსიერების დაღლას. გარდა ამისა, უკვე შემუშავებულია მოჭადრაკის ვარჯიშის სხვა გამართლებული მეთოდები.

კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც კულტურა დეგრადაციის გზაზე დგას, დაფაზე დაუხედავად თამაშის სეანსებს ატარებენ ბიზნესისა და სენსაციების მიზნით. მაგალითად, არგენტინელმა გროსმაისტერმა ნაიდორფმა შედარებით სუსტ მოჭადრაკეებთან 45 დაფაზე ჩაატარა სეანსი, რომელიც 23 საათსა და 30 წუთს გრძელდებოდა, რითაც აჟიოტაჟი შექმნა ბურჟუაზიულ სპორტში.

**თ. გიორგაძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

# საქართველოს XV ჩემპიონატი ჭადრაკში

ხუთი ტურის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ოთხი პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს თამაშის განახლებისას ბლაგიძემ მიქაელიანთან ბევრი ეცადა გამოეყენებინა ზედმეტი პაიკი, რომელიც მას ლაზიერების ენდშპილში ჰქონდა. მიქაელიანი სწორად იცავდა თავს და 72-ე სვლაზე ყაიმსაც მიაღწია. ყაიმით დამთავრდა ფრუიძე-მაჭავარიანის შეხვედრაც.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ახალციხელმა ნიკოშვილმა, რომელიც კალატოზიშვილთან ამთავრებდა პარტიას. მიუხედავად პაიკის დანაკლისისა, ნიკოშვილმა შექმნა კონტრთამაში და გაიმარჯვა. არონშტეინმა, რომელსაც ზედმეტი ხარისხი ჰქონდა ჯაკობიასთან, კარგად ჩაატარა უპირატესობის რეალიზაცია და ცხრილში პირველი ერთიანი ჩაიწერა.

მეექვსე ტურში დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ორი პარტია. მაჭავარიანს მიქაელიანის წინააღმდეგ გადადებულ პარტიაში ზედმეტი ფიგურა აქვს, ხოლო კალატოზიშვილ-არონშტეინის პარტია თანაბარ მდგომარეობაში შეწყდა.

ბლაგიძემ, რომელიც თეთრებით თამაშობდა ნიკოშვილთან კარგად მოწყობილი დაცვით მოწინააღმდეგის მძაფრი იერიში მოიგერია და 28-ე სვლაზე გაიმარჯვა. შიშოვმა ჩიქოვანის ცაიტნოტში მოიგო პაიკი, ხოლო შემდეგ ხარისხი და პარტია. გურგენიძე-გიორგაძის შეხვედრაში უკანასკნელი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და სვლების მოფიქრებას ბევრ დროს ანდომებდა, რის გამოც ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება. მას წაგება მიესაჯა. ელიოზიშვილმა ცენტრში გარღვევით სმირნოვის მეფეზე იერიში მიიტანა. 31-ე სვლაზე გამოუვალი შამათის გამო სმირნოვმა თავი დამარცხებულად ცნო. ფრუიძემ დაამარცხა ჯახუა, ხოლო ბუსლაევმა — ჯაკობია.

ექვსი ტურის შემდეგ ბუსლაევს აქვს 5 ქულა, მ. შიშოვს, ბ. გურგენიძესა და ო. ელიოზიშვილს 4,5 ქულა, ა. ბლაგიძეს 4 ქულა.

# აქტივის კრება

ამას წინათ ქუთაისში ჩატარდა საქალაქო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ქუთაისში ტანვარჯიშის განვითარების მდგომარეობის შესახებ. აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტსკოლების მასწავლებლები, სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეები და სპორტის ოსტატები. კრებაზე აღინიშნა, რომ ქუთაისში სუსტად არის განვითარებული სპორტის ეს სახეობა, ხოლო ტანვარჯიშის საქალაქო სექცია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის არაფერს აკეთებს.

არჩეულ იქნა მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია და ტანვარჯიშის საქალაქო სექციის პრეზიდიუმი.

**ა. ალფაიძე,**
**სპორტის ოსტატი**

# ფეხბურთელები ხსნიან სეზონს

21 თებერვალს თბილისში უნდა მოწყობილიყო ფეხბურთის სეზონის გახსნა, მაგრამ არახელსაყრელი ამინდის გამო გადაიდო. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს გადაწყვეტილებით ფეხბურთის სეზონის გახსნა თბილისში მოეწყობა 7 მარტს.

„დინამოს" სტადიონზე 12 საათზე გაიმართება ქალაქის ფეხბურთელთა გუნდების პარადი. 13 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლისა და „ნორჩი დინამოელის" გუნდები.

# ნრე ნაყოფიერად მუშაობს

გასულ წელს ყურადღება მიიქციეს თბილისის პიონერ მოჭადრაკეთა პირველობაში გამარჯვებულმა ქალთა 23-ე სკოლის მოსწავლეებმა. მოჭადრაკე გოგონების ეს გამარჯვება შემთხვევითი როდი იყო. უკვე მეორე წელია, რაც სკოლაში ჩამოყალიბებულია მოჭადრაკეთა ორი წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 11-დან 14 წლის 30-მდე გოგონა. ისინი კვირაში ორჯერ იკრიბებიან მეცადინეობაზე, მონდომებით ეუფლებიან მათთვის საყვარელი სპორტის სახეობას. მათი მასწავლებელი პირველთანრიგოსანი შ. ინწკირველი დამაჯერებლად ესაუბრება ჭადრაკის ისტორიაზე, აცნობს თეორიის ძირითად ელემენტებს, ტიპიურ შამათებს, კომბინაციებს, მანევრებს, ასწავლის ამოცანების გამოყვანას.

არდადეგების დღეებში მოჭადრაკე გოგონებმა ახალი გამარჯვებები მოიპოვეს: მოსწავლეთა საქალაქო პირველობის ნახევარფინალში ნ. გოგიჩაიშვილმა, ნ. ჭოლოშვილმა და ჰ. სამსონიამ პირველი ადგილები დაიკავეს და მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

დასახელებულ მოსწავლეთა გარდა კარგი მოჭადრაკეები არიან ნათელა სეფიაშვილი, ლიანა ჯორბენაძე, ნინო უზნაძე, ნათელა კაკაბაძე. ისინი წარჩინებულ სწავლასთან ერთად ნაყოფიერად ეუფლებიან ჭადრაკის თამაშს, აქვთ თანრიგი ჭადრაკში. მოლოტოვის რაიონის მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში სკოლის მოჭადრაკეებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სასიხარულო მოვლენა: გოგონებმა გამოუშვეს საკუთარი პირველი კედლის გაზეთი „ნორჩი მოჭადრაკე".

**გ. კიშიბაძე**



სურათზე: საჭადრაკო წრის ხელმძღვანელი შ. ინწკირველი ატარებს მორიგ მეცადინეობას. ფოტო შ. ჩხეტიანისა

# «რუსთავის რკალი»





სატელეფონო ბოძებზე გაბმულ წარწერას — „სტარტი" ნელა არხევდა სიო. ისმოდა მოტორების გუგუნი, მოტოციკლების გვერდით ჩაფხუტიანი სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მძღოლები ფუსფუსებდნენ. ქუჩის ორივე მხარეს ცოცხალ კედლად აღმართული რუსთავის მშრომელები მოუთმენლად ელოდნენ მოტორბოლა „რუსთავის რკალის" დაწყებას.

ერთდროულად მიეცა სტარტი 125 კუბიკური სანტიმეტრის მოცულობის მოტოციკლების მძღოლ ვაჟებსა და ქალებს. ქალთა შორის 15 წრე, რომლის საერთო სიგრძე 20 კილომეტრს აღემატებოდა, ყველაზე ადრე დაამთავრა დინამოელმა ვ. ბარასევამ (24:26,6). ვაჟთა შორის პირველი იყო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის წარმომადგენელი რ. გალუსტიანი (21:55,2).

სტარტი მიეცა 350 კუბიკური სანტიმეტრის მოცულობის მოტოციკლთა მძღოლებს. ელვის სისწრაფით დაიძრნენ მანქანები და მალე წინ გაიჭრა შალიბაშვილი. მეორე წრეზე მას ცალქალამანიძემ (ოფიცერთა საოლქო სახლი) გაუსწრო. მას დიდხანს არ დაუთმია ლიდერობა, მაგრამ მეათე წრეზე დროულად ვერ დაამუხრუჭა მანქანა და ქუჩის პირა გაზონებზე „გაისეირნა". მოტოციკლი დაზიანდა. თუმცა სვლას იგი შემდეგაც სწრაფ ტემპში განაგრძობდა, მაგრამ პირველობა მაინც დინამოელ თ. ჩხაიძეს დარჩა, რომელმაც ამ დღეს ორი სიგელი მოიპოვა. ერთი — თავის ჯგუფში გამარჯვებისათვის, მეორე — აბსოლუტური გამარჯვებისათვის. მისი დრო 19:47,2 საუკეთესო იყო ამ დღეს. არმიელმა კ. ცალქალამანიძემ მეორე ადგილზე გადაინაცვლა (21:59,3), მესამე ადგილზე გამოვიდა თ. შალიბაშვილი („დინამო").

დაძაბული იყო 750 კუბიკური სანტიმეტრის მოცულობის მოტოციკლებით შეჯიბრება. სტარტ[...] ხუთი სპორტსმენი გამოვიდა. სტა[...]ტი ყველაზე შედეგიანი პროფკავ[...]რების წარმომადგენელ გუნიასათ[...] გამოდგა. პირველი წრე მან ა[...] დაამთავრა. ა. ქილკინმა კი სტა[...]თან 26 წამი დაკარგა, მაგრამ მე[...]მარეობა მალე გამოასწორა და [...] გუნიასა და მ. სუხიშვილს გვე[...] ამოუდგა.

გუნია შესამე მოსახვევთან ას[...]ტრასას და ამიტომ გ. სუხიშვ[...] წინ გაიჭრა. ფინიშამდე ხუთი [...] იყო დარჩენილი. მოულოდნე[...] ა. გუნიამ კვლავ გაასწრო ს[...]შვილს, ხოლო ა. ქილკინმა — [...]ვეს და სათავეში ჩაუდგა რბო[...] ფინიშთან გამოჩნდა მანქანა № [...] — ქილკინისა, მას მოჰყვებ[...] გუნია... არმიელმა ა. ქილ[...]მა მხოლოდ წამებით დაა[...] მეტოქეს და გაიმარჯვა. მისი [...]დეგია 20:13,8. მეორე ადგი[...] გამოვიდა ა. გუნია.

შეჯიბრებაში გუნდური პი[...]ლობა მიეკუთვნა „დინამ[...] გუნდს.

**ო. გელაშვი[...]**

* * *

სურათებზე: მოტოცი[...]ტები დისტანციაზე.

# მოსკოვის ცირკის რინგზე

პირველ მარტს მოსკოვის სახელმწიფო ცირკის შენობაში გაიმართა რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ტყავის ხელთათმნის ცნობილი ოსტატები.

რინგზე პირველად გამოდიან უმჩატესი წონის მოკრივეები ა. ბულაკოვი და ი. ზლეტარუ. თანაბარ ბრძოლაში გამარჯვება მიენიჭა ბულაკოვს. მჩატე წონაში ბ. სტეპანოვმა ნოკაუტით მოუგო შეხვედრა ნ. მინდრიანუს.

საინტერესო იყო ქვემსუბუქი წონის მოკრივეთა ე. მერგერიტის და ა. ზასუხინის ორთაბრძოლა. მესამე რაუნდში საბჭოთა მოკრივე მოწინააღმდეგეს ორჯერ გზავნის ნოკდაუნში. მსაჯები გამარჯვებას ერთხმად ანიჭებენ ზასუხინს. მომდევნო შეხვედრების შედეგები ასეთია: გ. ფიატმა მოუგო ა. მეშჩერიაკოვს, ვ. ენგიბარიანმა (სსრკ) ნოკაუტი გაუკეთა დ. ადამს (რუმინეთი), ნ. ლინკამ მოუგო ნ. გრომოვს, ბ. ტიშინმა (სსრკ) — ვ. მიდრაგეს, გ. ტოლსტიკოვმა—ვ. ტიცეს ვ. გეცუს (რუმინეთი) და ა. პეროვის (სსრკ) შეხვედრაში საბჭოთა მოკრივე დისკვალიფიცირებულ იქნა. დ. ჩებოტარუმ დაამარცხა ნ. [...]ლიოვი (სსრკ).

დიდი ინტერესი გამოიწვია [...] კავშირისა და რუმინეთის მოკ[...] მეორე ამხანაგურმა შეხვედრა[...]ველ წყვილში ბ. ჩერმენევმა [...]ტით მოუგო ნ. მინდრიანუს. [...] გერიტმა დაამარცხა ვ. სმირ[...] ფიატმა — ა. გრეინერი, ამბრ[...] ნ. შერგოროდსკი.

კარგი იყო ნ. ლინკასა და ვ. [...] შეხვედრა. გამარჯვება მიეკუთ[...]ჭოთა სპორტსმენს. პირველ სა[...] წონაში ერთმანეთს შეხვდნ[...]დრაგე და გ. დარბაისელი. [...] შეწყდა საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობის გამო. მეორე სა[...] წონაში ვ. ბელიაევმა ნოკაუტ[...]გო ვ. ტიცეს.

ამხანაგური შეხვედრა რუმ[...] და საბჭოთა კავშირის მოკრივე[...]რის დამთავრდა ჩვენი სპორტსმენთა გამარჯვებით —[...]

ჩვენი გაზეთის შემდეგ[...] მერი გამოვა 10 მარტს.

**რედაქტორი ი. უგუ[...]**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.